ხელშეკრულება N373
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №83ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი- TRESGE22, საიდ. კოდი-205350699), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სამსახურის უფროსის თეიმურაზ მღებრიშვილის სახით და

მიმწოდებელი: შპს „ტრანსპორტერი" საიდენტიფიკაციო კოდი: 405127508;

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ნ. ყიფშიძის ქ., N 5; ტელ: 599854499;

დირექტორი: სერგო შუღაროვი;

საბანკო რეკვიზიტები: სს თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22; **ა/ა:** GE36TB7421136070100001 ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, ვთანხმდებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული "SEA-DOO"-ს მარკის წყლის სატრანსპორტო საშუალებების სათადარიგო ნაწილების და სერვის მომსახურების შესყიდვა დანართი №1-ის (პრეისკურანტი) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საფუძველი: **NAT200011828**

2.3 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 30 000** ლარს. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტი ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, მათ შორის დღგ-ს. ამასთან, პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 150 191.00

2.4 **კლასიფიკატორის კოდი - 50200000** - წყლის სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.

2.5 **ხელშეკრულება ძალაშია**: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაგრამ არანაკლებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

2.6 **დაფინანსების წყარო:** 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3 მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 წყლის სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის. მიმწოდებელმა, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა უნდა ჩაატაროს წყლის სატრანსპორტო საშუალებებს დათვალიერება და წარუდგინოს შესმყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად, რომელშიც აღნიშნული იქნება გასაწევი მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალის დეტალური აღწერა, თარიღი და მომსახურების გაწევის ვადა;

3.2 **მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი, ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ქობულეთი, ქ.ოზურგეთი და ქ.ზუგდიდი;**

3.3 მომსახურების გაწევის პირობები:

- წყლის სატრანსპორტო საშუალებების სერვის მომსახურება გაწეული უნდა იქნას დაუყოვნებლივ, რიგგარეშე;
- წყლის სატრასპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს (ახალი,არამეორადი) მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით;
- თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის სათადარიგო ნაწილი/მომსახურება, აღნიშნულის სათადარიგო ნაწილი/მომსახურების ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

4 გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით.

4.2 ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასა და შეცვლილ სათადარიგო ნაწილებზე (ახალი, არამეორადი) გარანტია უნდა ვრცელდებოდეს დანართი N1 პრეისკურანტში მითითებული ვადებით და პირობებით.

4.3 საგარანტიო პერიოდში, წყლის სატრანსპორტო საშუელებების სათადარიგო ნაწილზე/გაწეულ მომსახურებაზე დეფექტის/ნაკლის/წუნის/ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე, მისი მოქმედების დასრულების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში (მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა) ნაკლის/წუნის გამოსწორების მიზნით შეცვალოს იგი ახალი სათადარიგო ნაწილით, - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. ხოლო, საგარანტიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან უარის თქმის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს ჩაატარებინოს წყლის სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ექსპერტიზა აკრედიტებულ საექსპერტო დაწესებულებაში-სათადარიგო ნაწილის/გაწეული მომსახურების ხარისხის/ვარგისიანობის/დაზიანების გამომწვევი მიზეზის დასადგენად, - შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარების ვადად განისაზღვრება შემსყიდველის მიმართვიდან 10 (ათი) კალენდარული დღე. მიმწოდებლის მხრიდან საგარანტიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წყლის სატრანსპორტო საშუალებების ელექტრო (კომპიუტერული) სისტემის დიაგნოსტიკა და სავალი ნაწილების შემოწმების მომსახურება შემსყიდველს გაუწიოს უსასყიდლოდ - როგორც ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

4.5 მიმწოდებლის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ გაწეული მომსახურება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მათ შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

5.4 კონტროლს განმახორციელებელი შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის (ინსპექტირების ჯგუფის) ფუნქციაა:

5.4.1 დაადგინოს გაწეული მომსახურების და შეცვლილი სათადარიგო ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.2 დაადგინოს მომსახურების გაწევისა და სათადარიგო ნაწილის შეცვლის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

5.4.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურის ინფორმირება.

5.4.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ვადების მონიტორინგი და ადმინისტრირება.

5.5 კონტროლის განხორციელებას ახდენს, შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი, გაწეულ მომსახურებაზე სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ.

5.6 კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით-მომსახეურების გაწევის პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.

5.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კვლევა.

5.8 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიღება-ჩაბარებას განახორციელებენ **შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი.**

6.3 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის მიწოდებად არ ითვლება უხარისხო (წუნდებული) ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო მომსახურების გაწევა. ასეთ შემთხვევაში აღნიშნულზე მიღება-ჩაბრების აქტი არ ფორმდება.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6.6 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება ვალუტა - ლარი;

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით. საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისა და შემსყიდველისათვის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში;
7.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულებით გათვალისწინებული სრული თანხა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმწოდებელი კარგავს განსახორციელებელი მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
8.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის პირველ და მე-5 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.
10.4 თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ პრეისკურანტში არ არსებობს რომელიმე სახის სათადარიგო ნაწილი/საცხებ-საპოხი მასალა/მომსახურება, აღნიშნული გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი დადგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

11 ფორს-მაჟორი

11.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.
11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათ შორის, სსიპ „საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“ დასკვნა ფორსმაჟორის დადასტურების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების

შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12 ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.3 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების შესაბამისად, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
13.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
13.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14 სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
14.2 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ამ დოკუმენტის თავში მოცემულ თარიღს, შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
14.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.
14.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო

წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

მიმწოდებელი:
შპს ,,ტრანსპორტერი”
დირექტორი სერგო შუღაროვი

Transporter LLC

Digitally signed by Transporter LLC
Date: 2020.09.01 13:51:12 +04'00'

შემსყიდველი:

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი

წყლის სატრანსპორტო საშუალებები					
№	წყლის სატრანსპორტო საშუალებების დასახელება	პრეისკურანტის ღირებულება ლარი	სატენდერო ღირებულება ლარი	მომსახურების გაწევის ვადები	მომსახურების გაწევის ადგილი
1	SEA-DOO RXT 215 HP	114184.92	**30000.00**	ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	ქ.თბილისი, ქ.ბათუმი, ქ.ფოთი, ქ.ქობულეთი, ქ.ოზურგეთი, ქ.ზუგდიდი
2	SEA-DOO SPEEDSTER	36006.08			
სულ ჯამი:		**150191.00**			

SEA-DOO RXT 215 HP					
№	**სათადარიგო ნაწილების დასახელება**	**განზომილება**	**ერთეულის ფასი**	**მომსახურების ფასი**	**გარანტია**
1	შემამჭიდროვებელი ბეჭდურას რეზინა	ცალი	102.96	88.00	6 თვე
2	შემამჭიდროვებელი ბეჭდურა	ცალი	237.60	88.00	6 თვე
3	პროპელერი	ცალი	1126.40	88.00	6 თვე
4	ჩობალი1	ცალი	215.60	105.60	6 თვე
5	ჩობალი2	ცალი	132.00	105.60	6 თვე
6	პროპელერის ბუდე	ცალი	1144.00	70.40	6 თვე
7	სარქველი	ცალი	70.40	52.80	6 თვე
8	წყლის მილი	ცალი	123.20	52.80	6 თვე
9	პროპელერის ცხვირი	ცალი	107.36	61.60	6 თვე
10	სარჭი 6 X 25	ცალი	70.40	4.40	6 თვე
11	პროპელერის საკისარი	ცალი	308.00	105.60	6 თვე
12	მოხვევის მიმმართველი	ცალი	308.00	26.40	6 თვე
13	პროპელერის სარჭი	ცალი	343.20	44.00	6 თვე
14	სარჭი 8 X 40	ცალი	70.40	4.40	6 თვე
15	პროპელერის ჩობალი	ცალი	107.36	35.20	6 თვე
16	უკუსვლის სარქველი	ცალი	468.16	26.40	6 თვე
17	სარჭი 6 X 35	ცალი	70.40	4.40	6 თვე
18	მოხვევის ფრთა	ცალი	176.00	8.80	6 თვე
19	მოხვევის ფრთის მექანიზმი	ცალი	140.80	26.40	6 თვე
20	საჭის ბაგირი	ცალი	655.60	61.60	6 თვე
21	ძრავის კომპიუტერი	ცალი	3344.00	8.80	6 თვე
22	დროსელი	ცალი	2437.60	26.40	6 თვე
23	სპიდომეტრი	ცალი	2059.20	8.80	6 თვე
24	გასაღები	ცალი	281.60	220.00	6 თვე
25	დამტენის რელე	ცალი	466.40	17.60	6 თვე
26	სიჩქარის სენსორი	ცალი	374.00	13.20	6 თვე
27	აკუმულატორი	ცალი	330.00	17.60	6 თვე

28	სტარტერის ავტომატი	ცალი	237.60	26.40	6 თვე
29	ინჟექტორის სამაგრი	ცალი	607.20	44.00	6 თვე
30	ინჟექტორი	ცალი	484.00	44.00	6 თვე
31	დინამო	ცალი	1777.60	61.60	6 თვე
32	მუხლანა ლილვის პოზიციის სენსორი	ცალი	396.00	8.80	6 თვე
33	ბაბინა	ცალი	325.60	8.80	6 თვე
34	გამანაწილებელი ლილვის სენსორი	ცალი	233.20	8.80	6 თვე
35	ანთების სანთელი	ცალი	32.56	8.80	6 თვე
36	ზეთის ფილტრი	ცალი	61.60	8.80	100 საათი ან 12 თვე
37	ზეთი 4 ტაქტიანი	ლიტრი	35.20	52.80	100 საათი ან 12 თვე
38	ანტიფრიზი	ლიტრი	17.60	17.60	200 საათი 24 თვე
39	წამყვანი ღერძი	ცალი	880.00	88.00	6 თვე
40	წამყვანი ღერძის დამცავი	ცალი	118.80	52.80	6 თვე
41	წინა ბამპერი	ცალი	233.20	17.60	6 თვე
42	უკანა ბამპერი	ცალი	167.20	17.60	6 თვე
43	უკანა ბამპერის კუთხე	ცალი	114.40	8.80	6 თვე
44	გასაღების წამკითხავი	ცალი	466.40	264.00	6 თვე
45	ჩართვა/გამორთვის ღილაკი	ცალი	189.20	8.80	6 თვე
46	მთავარი რელე	ცალი	118.80	4.40	6 თვე
47	პროპელერის საფენი	ცალი	123.20	17.60	6 თვე
48	წყალგაუმტარი ჩობალი	ცალი	92.40	17.60	6 თვე
49	სარკე	ცალი	321.20	22.00	6 თვე
50	კომპლექსური დიაგნოსტიკა	სრული	0.00	176.00	6 თვე
51	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	70.40	6 თვე
52	ელექტროობის გამართვა	სრული	0.00	176.00	6 თვე
53	კორპუსის ზედა ნაწილის დაშლა/აწყობა	ცალი	0.00	132.00	6 თვე
54	კორპუსის სრული დაშლა/აწყობა	ცალი	0.00	220.00	6 თვე
55	ძრავის ა/ჩ	ცალი	0.00	176.00	6 თვე
56	მგზავრის სახელური	ცალი	374.00	26.40	6 თვე
57	დამცველების ყუთი	ცალი	79.20	52.80	6 თვე
58	დამცველების ყუთის თავსახური	ცალი	79.20	8.80	6 თვე
59	გამონაბოლქვის ტემპერატურის სენსორი	ცალი	114.40	17.60	6 თვე
60	ქანჩების ნაკრები	ცალი	23.76	8.80	6 თვე
61	საყელურის ნაკრები	ცალი	14.08	8.80	6 თვე
62	ჭანჭიკების ნაკრები	ცალი	36.96	8.80	6 თვე

63	ზეთმზომი ღერო	ცალი	66.00	8.80	6 თვე
64	ოდომეტრის ჩარჩო	ცალი	57.20	26.40	6 თვე
65	ძარის გვერდითა რეზინის ბუფერი	ცალი	176.00	44.00	6 თვე
66	ამძრავის ჭანჭიკების კომპლექტი	ცალი	18.48	8.80	6 თვე
67	წამყვანი ხრახნის კომპლექტი	ცალი	7550.04	264.00	6 თვე
68	პროპელერის შემაკავშირებელი	ცალი	1144.00	44.00	6 თვე
69	ძრავის სტარტერი	ცალი	1126.40	44.00	6 თვე
70	ბლოკი (ძრავის)	ცალი	6371.20	440.00	6 თვე
71	სტარტერის ვარსკვლავა კბილანა 9 კბილი	ცალი	189.20	88.00	6 თვე
72	ძრავის გამომშვები სარქველის სადგარი	ცალი	111.76	88.00	6 თვე
73	საყელურების კომპლექტი	ცალი	28.16	8.80	6 თვე
74	ელ–მაგნიტური ხვია (სოლენოიდი)	ცალი	1100.00	44.00	6 თვე
75	ფრიქციონი	ცალი	233.20	44.00	6 თვე
76	ძრავი კომპლექტში	ცალი	18735.20	440.00	6 თვე
77	ძრავის წინა სადგარი	ცალი	140.80	88.00	6 თვე
78	რეზინის სარქველი	ცალი	46.64	44.00	6 თვე
79	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი ჭანჭიკი	ცალი	167.20	17.60	6 თვე
80	დამჭერი ფირფიტა	ცალი	66.00	44.00	6 თვე
81	მილის სადგარი	ცალი	37.84	44.00	6 თვე
82	ძრავის შემშვები სარქველის სადგარი	ცალი	93.28	44.00	6 თვე
83	ზეთის წნევის მზომი	ცალი	111.76	35.20	6 თვე
84	რეზინის სადგარი	ცალი	32.56	44.00	6 თვე
85	შუასადები	ცალი	32.56	17.60	6 თვე
86	ხმის სენსორი	ცალი	186.56	35.20	6 თვე
87	დგუშის საპოხი ზეთის არხის გადამყვანი	ცალი	52.80	132.00	6 თვე
88	სარჭი 8 მმ-12 მმ	ცალი	32.56	8.80	6 თვე
89	რეზინის მუხლა მილი	ცალი	140.80	35.20	6 თვე
90	ცალუღი	ცალი	14.08	8.80	6 თვე
91	რეზინის მილი	ცალი	149.60	35.20	6 თვე
92	ზეთის რადიატორი	ცალი	660.00	220.00	6 თვე
93	ძრავის ჭანჭიკი 8მმ	ცალი	18.48	8.80	6 თვე
94	ძრავის ჭანჭიკი 10მმ	ცალი	18.48	8.80	6 თვე
95	საცობი საყელური 30მმ	ცალი	47.52	17.60	6 თვე
96	რგოლი	ცალი	23.76	8.80	6 თვე
97	დგუშის სარჭი	ცალი	56.32	26.40	6 თვე

98	ჩამკეტი	ცალი	18.48	35.20	6 თვე
99	დგუში	ცალი	695.20	132.00	6 თვე
100	საკისარის მილისა	ცალი	37.84	26.40	6 თვე
101	მქნევარა	ცალი	608.96	132.00	6 თვე
102	მქნევარას სადები	ცალი	93.28	44.00	6 თვე
103	ძრავის ბლოკის ჭანჭიკი	ცალი	32.56	17.60	6 თვე
104	ნახევარ რგოლისებრი სამაგრი	ცალი	66.00	44.00	6 თვე
105	მუხლალილვის სადები	ცალი	66.00	44.00	6 თვე
106	გამამყარებელი რეზინის რგოლი	ცალი	32.56	44.00	6 თვე
107	მუხლალილვის გამომშვები მილისა	ცალი	264.00	44.00	6 თვე
108	მამოძრავებელი სარჭი	ცალი	18.48	26.40	6 თვე
109	შემაჩერებელი მილისა	ცალი	32.56	44.00	6 თვე
110	მუხლალილვის სადები ქვედა	ცალი	66.00	44.00	6 თვე
111	ბალანსის ლილვის ნახევარ სადები	ცალი	46.64	44.00	6 თვე
112	მუხლალილვის სადები ქვედა	ცალი	66.00	44.00	6 თვე
113	ბალანსის ლილვი	ცალი	1218.80	176.00	6 თვე
114	სარქვლის საბიძგებელა	ცალი	374.88	88.00	6 თვე
115	შიდა სარქვლის საბიძგებელა	ცალი	468.16	132.00	6 თვე
116	სარქვლის საბიძგებელას ლილვი	ცალი	468.16	176.00	6 თვე
117	ჭანჭიკი 8 - 72 მმ	ცალი	37.84	8.80	6 თვე
118	გამომშვები კოლექტორი	ცალი	2248.40	105.60	6 თვე
119	სავენტილაციო სარქველი	ცალი	215.60	26.40	6 თვე
120	ვი ფორმის რგოლი	ცალი	56.32	26.40	6 თვე
121	მდგრადობის საყელური	ცალი	32.56	35.20	6 თვე
122	ხუფი	ცალი	93.28	26.40	6 თვე
123	გამანაწილებელი ლილვის კბილანა 38 კბილი	ცალი	187.44	88.00	6 თვე
124	ჯაჭვის დამჭიმი ბუნიკი	ცალი	37.84	26.40	6 თვე
125	ძრავის ჯაჭვი	ცალი	328.24	132.00	6 თვე
126	ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	66.00	61.60	6 თვე
127	გამანაწილებელი ლილვი	ცალი	1782.00	88.00	6 თვე
128	ცილინდრთა ბლოკის თავი	ცალი	3278.00	176.00	6 თვე
129	მიმმართველი სარქველი	ცალი	114.40	26.40	6 თვე
130	ძრავის ტრანსპორტირების სამაგრი	ცალი	74.80	17.60	6 თვე
131	შემშვები მილი	ცალი	167.20	8.80	6 თვე
132	ცენტრალური შემშვები მილი	ცალი	140.80	61.60	6 თვე

133	ჰაერის მაყუჩი	ცალი	189.20	35.20	6 თვე
134	ძრავას საყრდენი ბალიში	ცალი	189.20	88.00	6 თვე
135	საყელური 1.33მმ	ცალი	32.56	17.60	6 თვე
136	პლასტმასის ხუფი	ცალი	187.44	4.40	6 თვე
137	ანტიფრიზის ავზის თავსახური	ცალი	56.32	8.80	6 თვე
138	უკუქცევის მუხლა მილი	ცალი	168.96	35.20	6 თვე
139	ატიფრიზის რეზევუარი	ცალი	280.72	26.40	6 თვე
140	მაყუჩი	ცალი	1685.20	35.20	6 თვე
141	მაყუჩის ჩიბუხი	ცალი	563.20	52.80	6 თვე
142	საწვავის ტუმბო	ცალი	1056.00	70.40	6 თვე
143	საწვავის ფილტრი	ცალი	105.60	52.80	6 თვე
144	საწვავის დონის მზომი	ცალი	281.60	52.80	6 თვე
145	ზეთის ღერო	ცალი	84.48	35.20	6 თვე
146	გამაგრილებელი	ცალი	1399.20	70.40	6 თვე
147	ჰაერის წნევის სენსორი	ცალი	492.80	26.40	6 თვე
148	დროსელის პოზიციის სენსორი	ცალი	189.20	35.20	6 თვე
149	ზეთის ტემპერატურის სენსორი	ცალი	140.80	44.00	6 თვე
150	კომპრესორი	ცალი	3467.20	352.00	6 თვე
151	მუხლა მილი	ცალი	93.28	30.80	6 თვე
152	ჭანჭიკი 8 - 140.5 მმ	ცალი	93.28	8.80	6 თვე
153	ზეთის ფილტრის ხუფი	ცალი	93.28	8.80	6 თვე
154	მაგნიტური მქნევარა თვალი	ცალი	1144.00	61.60	6 თვე
155	დამხმარე მქნევარა თვალი	ცალი	74.80	70.40	6 თვე
156	ძირითადი მქნევარა თვალი	ცალი	655.60	105.60	6 თვე
157	წყლის ტუმბო	ცალი	844.80	61.60	6 თვე
158	ძრავის შუასადები	ცალი	56.32	88.00	6 თვე
159	ნახშირბადის ბეჭედი	ცალი	308.00	44.00	6 თვე
160	მტვერდამცავის ცალუღი	ცალი	46.64	8.80	6 თვე
161	მტვერდამცავი	ცალი	52.80	132.00	6 თვე
162	უკუსვლის მექანიზმის სადგარი	ცალი	112.64	26.40	6 თვე
163	უკუსვლის ბერკეტი	ცალი	171.60	26.40	6 თვე
164	უკუსვლის ბერკეტის სახელური	ცალი	206.80	26.40	6 თვე
165	უკუსვლის გვარლი (ტროსი)	ცალი	374.00	52.80	6 თვე
166	საჭის პლასტმასის ხუფი	ცალი	281.60	35.20	6 თვე
167	საჭის ფრთა მარცხენა	ცალი	114.40	26.40	6 თვე

168	მარჯვენა ფრთის სამაგრი ცილინდრი	ცალი	140.80	132.00	6 თვე
169	საჭის მექანიზმის სტაბილიზატორი	ცალი	46.64	26.40	6 თვე
170	ჩამკეტი სარჭი	ცალი	56.32	30.80	6 თვე
171	მდგრადობის სტაბილიზატორის საწევი	ცალი	112.64	35.20	6 თვე
172	გადაბმულობის დაფა	ცალი	70.40	44.00	6 თვე
173	მოხვევის მექანიზმის დამჭერი	ცალი	93.28	26.40	6 თვე
174	ბერკეტი	ცალი	52.80	26.40	6 თვე
175	წინა სკამის კომპლექტი	ცალი	1408.00	17.60	6 თვე
176	უკანა სკამის კომპლექტი	ცალი	1874.40	17.60	6 თვე
177	მარჯვენა ფრთა	ცალი	281.60	17.60	6 თვე
178	მარცხენა ფრთა	ცალი	374.00	17.60	6 თვე
179	ძრავის კაბელი	ცალი	2428.80	132.00	6 თვე
180	სავარძლის ჩამკეტი	ცალი	83.60	17.60	6 თვე
181	შუასადები გამონაბოლქვის სისტემის	ცალი	13.20	4.40	6 თვე
182	სარჭი	ცალი	14.08	8.80	6 თვე
183	რეზინის სადები	ცალი	23.76	4.40	6 თვე
184	მუხლა ლილვი	ცალი	4215.20	176.00	6 თვე
185	რეზინის დამჭერი	ცალი	205.92	44.00	6 თვე
186	პლასტმასის სარჭი	ცალი	46.64	8.80	6 თვე
187	გამშვები კოლექტორის გაწმენდა	ცალი	0.00	880.00	6 თვე
188	კონსერვაცია	სრული	0.00	193.60	6 თვე
			102432.52	**11752.40**	
	ჯამი		**114184.92**		
		SEA-DOO SPEEDSTER			
№	**სათადარიგო ნაწილების დასახელება**	**გაწზომილება**	**ერთეულის ფასი**	**მომსახურების ფასი**	**გარანტია**
1	ანთების სანთელი	ცალი	32.56	8.80	6 თვე
2	საწვავის ფილტრი	ცალი	176.00	44.00	6 თვე
3	ზეთის ფილტრი	ცალი	66.00	17.60	100 საათი ან 1 წელი
4	ზეთი	ლიტრი	35.20	52.80	100 საათი ან 1 წელი
5	ანტიფრიზი	ლიტრი	17.60	26.40	200 საათი ან 2 წელი
6	აკუმულატორი	ცალი	325.60	17.60	6 თვე
7	შემამჭიდროებელი ბეჭდურა	ცალი	237.60	88.00	6 თვე
8	გასაღების შეცვლა, პროგრამირება.	ცალი	264.00	220.00	6 თვე
9	ტემპერატურის სენსორი	ცალი	114.40	26.40	6 თვე

10	მაყუჩი	ცალი	1672.00	70.40	6 თვე
11	მაყუჩის გვარლი	ცალი	36.96	8.80	6 თვე
12	რეზონატორი	ცალი	580.80	26.40	6 თვე
13	სიჩქარის გადამრთველის ტროსი	ცალი	633.60	132.00	6 თვე
14	აქსელერატორის გვარლი	ცალი	572.00	44.00	6 თვე
15	საბარგულის ამორტიზატორი	ცალი	220.00	8.80	6 თვე
16	უკანასვლის სარქველის დამჭერი	ცალი	836.00	52.80	6 თვე
17	სარჭი 18 X 1.56	ცალი	48.40	4.40	6 თვე
18	უკუსვლის გვარლი	ცალი	836.00	35.20	6 თვე
19	უკუსვლის ჩამრთველი	ცალი	655.60	26.40	6 თვე
20	საჭის გვარლი	ცალი	1056.00	79.20	6 თვე
21	სარჭი 6 X 35	ცალი	28.16	4.40	6 თვე
22	მარიალიანი წყლის ჰერმეტიკი	ცალი	92.40	17.60	6 თვე
23	კომპლექსური დიაგნოსტიკა	სრული	0.00	176.00	6 თვე
24	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ცალი	0.00	70.40	6 თვე
25	ძარის დეტალების დაშლა/აწყობა	სრული	0.00	220.00	6 თვე
26	ელექტროობის გამართვა	სრული	0.00	176.00	6 თვე
27	ძრავის კომპიუტერი	ცალი	3432.00	17.60	6 თვე
28	ძრავის ა/ჩ	ცალი	0.00	176.00	6 თვე
29	ძრავის ქვედა ნაწილის დაშლა/აწყობა	ცალი	0.00	220.00	6 თვე
30	საჭის გადაბმის ღერძი	ცალი	140.80	26.40	6 თვე
31	ჭანჭიკების კომპლექტი	ცალი	15.84	8.80	6 თვე
32	საჭის სისტემის ჭანჭიკების კომპლექტი	ცალი	28.16	8.80	6 თვე
33	საჭის ბურთულა სახსარი მარჯვენა	ცალი	140.80	17.60	6 თვე
34	საჭის ბურთულა სახსარი მარცხენა	ცალი	140.80	17.60	6 თვე
35	საყელურების კომპლექტი	ცალი	9.68	8.80	6 თვე
36	მიმმართველის ჭანჭიკების კომპლექტი	ცალი	19.36	4.40	6 თვე
37	მოხვევის მექანიზმის მილისა	ცალი	48.40	8.80	6 თვე
38	მოხვევის მექანიზმის საყელურების კომპლექტი	ცალი	19.36	4.40	6 თვე
39	ძარის კაუჭი	ცალი	96.80	17.60	6 თვე
40	ზამბარის სარჭი	ცალი	28.16	26.40	6 თვე
41	ზამბარა	ცალი	32.56	8.80	6 თვე
42	ძარის სარჭების კომპლექტი	ცალი	14.08	4.40	6 თვე
43	მილისა	ცალი	19.36	8.80	6 თვე
44	კონუსური ბალიშას სარჭების კომპლექტი	ცალი	184.80	4.40	6 თვე

45	რეზინის მილისა	ცალი	88.00	26.40	6 თვე
46	რკინის მილისა	ცალი	26.40	17.60	6 თვე
47	უკუსვლის მილისა	ცალი	46.64	17.60	6 თვე
48	პროპელერის საყელურების კომპლექტი	ცალი	14.08	8.80	6 თვე
49	პროპელერის რეზინის საყელურების კომპლექტი	ცალი	14.08	4.40	6 თვე
50	საჭის მექანიზმის მილისა	ცალი	83.60	26.40	6 თვე
51	წყლის სადინარის საცობი	ცალი	30.80	8.80	6 თვე
52	ცალუღები კომპლექტში	ცალი	17.60	4.40	6 თვე
53	წყალშეკრების სარქველი	ცალი	215.60	13.20	6 თვე
54	წყლის სისტემის ცალუღი	ცალი	14.08	4.40	6 თვე
55	წყლის სიტემის დიდი მილის ცალუღი	ცალი	37.84	4.40	6 თვე
56	რეზინის ცალუღი	ცალი	23.76	4.40	6 თვე
57	გამონაბოლქვის მილი	ცალი	74.80	35.20	6 თვე
58	გამონაბოლქვის სარქველი	ცალი	61.60	26.40	6 თვე
59	რეზინის საყელური	ცალი	39.60	8.80	6 თვე
60	გამონაბოლქვის რეზინის საყელური	ცალი	19.36	0.00	6 თვე
61	რეზინის ქანჩი	ცალი	46.64	8.80	6 თვე
62	საწვავის ავზის დამჭერი	ცალი	57.20	8.80	6 თვე
63	წამყვანი ხრახნის კომპლექტი	ცალი	7788.00	264.00	6 თვე
64	სანივთეს საფარი	ცალი	1224.96	88.00	6 თვე
65	რეზონატორის ბუდე	ცალი	105.60	8.80	6 თვე
66	უკუსვლის მექანიზმი	ცალი	1320.00	88.00	6 თვე
67	უკუსვლის მექანიზმის დეტალი	ცალი	1320.00	88.00	6 თვე
68	გამონაბოლქვის მილი	ცალი	264.00	44.00	6 თვე
69	გაგრილების სისტემის მილი	ცალი	132.00	35.20	6 თვე
70	უკუსვლის ღერძი	ცალი	616.00	35.20	6 თვე
71	გამონაბოლქვის რეზინის მილი	ცალი	132.00	26.40	6 თვე
72	საყრდენი ჭანჭიკი	ცალი	79.20	4.40	6 თვე
73	ანოდი	ცალი	57.20	35.20	6 თვე
74	პროპელერი	ცალი	1117.60	88.00	6 თვე
75	გამონაბოლქვის მილის პორტი	ცალი	440.00	35.20	6 თვე
76	გამონაბოლქვის სისტემის დიდი ცალუღი	ცალი	132.00	17.60	6 თვე
77	კატერის კორპუსის აღდგენა		0.00	1980.00	6 თვე
78	კატერის გვერდის შეღებვა		0.00	880.00	6 თვე
79	გამშვები კოლექტორის გაგრილების სისტემის გაწმენდა	ცალი	0.00	880.00	

80	კონსერვაცია	სრული	0.00	387.20	
			28548.08	**7458.00**	
	ჯამი		**36006.08**		
	სულ პრეისკურანტის ჯამი	**150191.00**			